

**დადგენილება N24/2020** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა „ორიენტი“) გამოცხადებულ კონკურსზე „დაწყებითი და საშუალო სამუსიკო საგანმანათლებლო რგოლისთვის განკუთვნილი მეთოდური რესურსის შექმნისათვის“ შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ.

დადგენილება №24/2020

27 აპრილი, 2020

დადგენილება N24/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა ორიენტი) გამოცხადებულ კონკურსზე „დაწყებითი და საშუალო სამუსიკო საგანმანათლებლო რგოლისთვის განკუთვნილი მეთოდური რესურსის შექმნისათვის“ შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, პროექტის ხელმძღვანელის ასოც. პროფ. მარიკა ნადარეიშვილის 2020 წლის 27 აპრილის განაცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 აპრილის N15 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა „ორიენტი“) გამოცხადებულ კონკურსზე „დაწყებითი და საშუალო სამუსიკო საგანმანათლებლო რგოლისთვის განკუთვნილი მეთოდური რესურსის შექმნა“, დარჩეს განუხილველი სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების საპროექტო განაცხადი „მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგია-გამოწვევები და პერსპექტივები“(საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მარიკა ნადარეიშვილი).

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

